№ 63 მარტი 22, პარასკევი 1891 მარტი 22, პარასკევი № 63


| | | | |
|---|---|---|---|
| **გაზეთი ღირს** | | | |
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1891 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში

პარასკევს 22 მარტს

გამართული იქნება გამოსათხოვებელი წარმოდგენა

**ანნა ჟუდიკისა**

წარმოდგენილ იქმნება საზოგადოების თხოვნით

**ნინიში**

ოპერეტი 3 მოქმედებად.

დასაწყისი, 8 საათზედ

---

**ჩვეულებრივი კრება**

ტფილისის მაზრის თავად აზნაურობისა შესდგება ხუთშაბათს, ოც-და-რვა ამა მარტისას, თერთმეტს საათზედ, დილით, დეპუტატთა კეთილ-შობილთ კრების სადგომში, პუშკინის ქუჩაზედ. (3—1)

---

ტფილისის აბრეშუმო სადგურის სელულიარული

**აბრეშუმის თესლი**

მისხალი 60 კაპ. და ხელოვნური ფიჭა (სარაფი), მომზადებული ნ. წერეთლისაგან, გირ. 70 კაპ.

ისყიდება ქუთაისში და ხონში, ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში. (5—5)


---

## ახალი ამბავი

*** სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკი, რომლის განყოფილებაც შარშან გაიმართა ჩვენ ქალაქში, იმ პირობით იღებს მამულებს გირაოდ, თუ მამული უდაოდ არის გამიჯნული და გეგმა შედგენილია კანონიერის წესით. ამას გარდა ბანკის გამგეობა თხოულობს ერთს ფრიად საჭირო ცნობას, სახელდობრ იმას, რომ დასაგირავებელ მამულში გლეხების „ნადელები" არ ერიოს, ან თუ არის ჩაყოლილი, გეგმაზედ უნდა იყოს უსათუოდ აღნიშნული. ამ პირობის შეუსრულებლად ბანკი არ მიიღებს გირაოდ არც ერთს მამულს. რადგან აღნიშვნა საზოგადო გეგმაზედ გლეხების ნადელებისა მოითხოვს დიდ-შრომას, ჯაფას და ხარჯს და ბანკი ვერც იკისრებს ასეთი მოვალეობა თვითონ შეასრულოს, ამისათვის ბანკის გამგეობას უთხოვნია გუბერნატორისათვის, აღმოგვიჩინე რაიმე შემწეობა ამ დაბრკოლების მოსაშორებლად და ამითი მოგვეცი საშუალება შევასრულოთ უმაღლესი სურვილი, დავეხმაროთ ტფილისისა და ქუთაისის მემამულეთა იაფის სარგებლიანის სესხის მიცემითაო.

საგუბერნიო მმართველობას ჯერ ვერ გადუწყვეტია, ვის მიანდოს ბანკის ასეთი მოთხოვნილების ასრულება. მომრიგებელი შუა-კაცნი ვერ იკისრებენ ამას, რადგან სპეციალურად არ არიან მომზადებულნი გამიჯვნის საქმეში და შეცდომა ბევრი მოუვათ, რისთვისაც, რასაკვირველია, შემდეგ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. საგუბერნიო მმართველობას ჰყავს ერთი მიწის მზომელი, მაგრამ ერთი კაცი რას აუვა მთელ გუბერნიას. შეიძლება ერთის წლის განმავლობაში ასმა მემამულემ მოისუროს მამულის დაგირავება და აბა ას ალაგას როგორ მოასწრებს ერთი კაცი მივიდეს და გადიღოს გეგმაზედ გლეხების ნადელები. ამას გარდა მიწის მზომელს გზის ხარჯს მთავრობა ვერ მისცემს, რადგან ასეთი მინდობილება მის პირდაპირ მოვალეობას არ შეეხება.

საბოლოოდ ეს საგანი ჯერ არ გადაწყვეტილა და რითაც გათავდება თავის დროზედ შევატყობინებთ მკითხველს.

*** ქიმიკოსს გ. გ-ძეს ალიბეგოვს განუზრახავს მარგარინის შესახებ მოხსენების წაკითხვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. ამასთანავე ბ-ნ ალიბეგოვს უნდა ამ მოხსენებაში იმასაც შეეხოს, თუ რამდენი ვრცელდება ქალაქში მარგარინი, და მიჰმართა ქალაქის გამგეობას, მომეცით ნება თქვენს დროებითს ლაბორატორიაში შევკრიბო საჭირო ცნობანიო. გამგეობამ ნება დართო ბ-ნ ალიბეგოვს.

*** „ქართველთა ამხანაგობას წიგნების ბეჭდვისას" თითქმის სულ გაუყიდია გამოცემა იმ ზღაპრებისა, რომელიც 1-ლ ტომად დაიბეჭდა და წელს თებერვლის დამლევს გამოვიდა გასასყიდად. „ამხანაგობა" შესდგომია ზღაპრებისავე მე-II ტომის შედგენას და ამ მოკლე ხანში კიდევაც დაიწყებენ ბეჭდვას.

*** მომავალ აპრილის 1-ლს ქალაქის გამგეობაში იქნება ტირაჟი ქალაქის მეორე საობლიგაციო სესხის ბილეთებისა 13.200 მანეთისა.

*** ქალაქმა მოუსპო თავ. ი. მუხრანბატონს წყალის ძლევა, რადგან პირობას არ ასრულებს იმ ხელ-შეკრულობისას, რომელიც ყოფილ ქალაქთან ჰქონდაო, სანამ ამ უკანასკნელის მილის წყალს ქალაქი შეიძენდაო. საქმე სასამართლომდე მივიდა და გუშინ, 21 მარტს, მომრიგებელ-მოსამართლემ ის განაჩენი დაადგინა, რომ თავ. ი. მუხრანბატონს წყალი უნდა მიეცეს და, თუ რამ მიხადები აქვს ქალაქს,—შეუძლია უჩივლოს თავ. მუხრანბატონსაო.

*** გუშინ-წინ, ოთხშაბათს, ანნა ჟუდიკის ბენეფისი იყო და დიდ ძალი ხალხიც დაესწრო. მობენეფისემ სწორედ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება თავისის ხელოვნურის თამაშობით, განსაკუთრებით მაშინ, როცა შანსონეტები დაიწყო და წარმოადგინეს ოპერეტი „მენახშირენი", რომელშიაც იმის ნიჭიერს თამაშს ბ-ნი დიდიეც ხელს უმართავდა. წარმოდგენის შემდეგ ორასამდე კაცმა მიაცილა ნიჭიერი არტისტი-ქალი „კავკაზის" სასტუმრომდე და აქ კიდევ ქუჩიდგან დიდ-ხანს ტაშს უკრავდა, რამდენჯერმე გამოიხმო ბალკონზედ ქ-ნი ჟუდიკი და მადლობა გადაახდევინა. ამ არტისტ-ქალს დღეს, პარასკევს, უკანასკნელი წარმოდგენა აქვს დანიშნული. წარმოდგენის შემდეგ, ღამის პირველ საათზედ, ქ-ნი ჟუდიკი თავისის დასითურთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის საგანგებო მატარებლით მიდის ბათუმში, ხოლო იქიდგან ნოვოროსიისკში უნდა გაემგზავროს.

*** ხმა დადის, რომ ტფილისის ქალაქის თავის არჩევანი არც 25 მარტს შესდგებაო, რადგან აქამდის ვერ დაუსახელებიათ ისეთი კანდიდატი, რომელსაც საჭირო ხმის უმეტესობა მიეცემა შეეძლოს.

*** გუშინდელს ჩვენის გაზეთის ახალ ამბავში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ გომის სადგურზე კონდუქტორი სპარსელი მატარე ბელმა გასრისაო. ეხლა ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ის კაცი ყაზანის თათარი იაფაროვი ყოფილა და არა სპარსელი.

*** ყარსი: დიდი ზამთარი გამოვიარეთ წელს. შარშან ოქტომბრიდამ დაწყებული წელს მარტამდე განუწყვეტელი სიცივეები იდგა. ყინვა ხშირად აღიოდა 35 გრადუსამდე. 15 ს ზე ნაკლები ხომ თითქმის არც ერთხელ არ ყოფილა. მარტში ცოტაოდნად დათბა და ყინვამ იკლო. მაგრამ 14 მარტს თოვლი ისევ მოვიდა და მარხილებმა კვლავ დაიწყეს სრიალი ჩვენს ქალაქში.

*** ნატანები: (რკინის-გზის სადგური): სამტრედიას ქვემოდ ბათუმის გზაზე ნატანები ყველაზე დიდი და კარგი სადგურია, მაგრამ ყველაზე მეტი უსიამოვნება და დაბრკოლება მოელის მგზავრს, თუ ამ სადგურიდამ მოუნდა სხვაგან გამგზავრება. მიხვალ ბილეთის მისაღებად და გეტყვიან: „მატარებლის მოსვლის შემდეგ მოგცემთო". მოვა მატარებელი და „ახლა რაღა დროსაო." ამ ნაირად მგზავრი ან უბილეთოდ უნდა ჩაჯდეს მატარებელში და ან მეორე დღემდე იცადოს. ამას ორივეს ზარალი და ხარჯი მოსდევს. ამას გარდა საქონლის გზავნა მიღებაც გასაჭირია და კარგი იქნება, რომ ამ ამბავს, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიექცეოდეს.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. ყოველ გვარს განძსა და სიმდიდრეს ქვეყნისას თუ კერძო კაცისას შეგვიანი, დახელოვნებული და შორს მხედველი პატრონი უნდა, რომ ისე უმ-

---

## ფელეტონი

### სადიდმარხვოდ

ამ დალოცვილს დიდმარხვას, რომ საუბარი შეექმოს, უთუოდ დიდს საპდურავს შეუთვლიდა და არც წყევლას დააკლებდა მარხვა ჭამიებს, რომელნიც უფრო ბლომად მოიძებნებიან ქალაქ ადგილებში, მანამ სოფლად. სოფელს ჯერ კიდევ ძველი სუნი მოსდის და მამა პაპათ ანდერძი არ დაუვიწყნია. ძველად ხომ ვიცით მარხვას დიდის პატივს ცემით ეპყრობოდენ და ეხლაც ისევ დალოცვილი ლობიო, მახოხი, ლო...ოს საჭამანდი და სხვანი მრავალნი მცენარეულნი საჭმელები არიან დიდ-მარხვის პატივსაცემლად დამზადებულნი. ქალაქ ადგილას-კი ყველა საზოგადოდ ჩვეულებისაგან აკრძალული საქმე ადვილად ჩასადენია კაცისაგან, ხოლო სოფელში ყველა მალე გაიგებს ავს საქმეს და ავის თვალითაც შეჰხედავენ. ამის გამო, სიმართლით უნდა ვსთქვათ, სოფელშიაც ბევრი ძალად წმინდანობს, თორემ გაგიხარიან რომ ისინი, თუ თვალი იცდინეს და ერთი დასტური დასცა საზოგადოების შეხედულებამ, ყელს ჩაიპოხებენ. მე რომ ზოგ-ზოგი მსუნაგი დიაკვანი ვიცი, აბა ის რას არ წაატანს ხელს ღორის ლურთ-ლურთ ნაჭრებს, პატივი მარხვას და უკაცრავად მარხულებთან, ინდაურის კანჭს, დედლის გვერდებს, ჯამში ჩაბუქბუქებულს ბოზბაშს, რას არ ამოუჯდება გვერდში.

თქვენ გგონიათ მარხვისა არ ეშინიან იმას? არა, ეშინიან, მაგრამ მუცლის ამოძახილი სთრგუნავს ხმას შიშისას და კაწკაწი კბილთა აბათილებს ძალსა სულისასა... რა უყოთ, განა ლოცვა-წირვა-კი ეხალისება, მაგრამ მოვალეა ილოცოს; მანამ მარხვა დადგებოდა, იდლიაში ჯოხ ამოჩრილი დაუნსულებდა სოფელში, ეგებ რასმე სასმელ-საჭმელს, ან ხანოვაგეს წააწყდე და ერთი კარგად გამოიბრუჟოო და ეხლა, როცა დიდი მარხვა დადგა, თუ არ წავიდა საყდარში, ქისტის კერით წაიყვანენ, გაისმის მწუხარე ხმა ზარისა და მიდის ისიც საყდარში წელ-მოწყვეტილი, ფეხებს ძლივს მიათრევს და დიდმარხვის ჯვარს ჭამნდავიონზე იყრის. გაგიხარიან, ის ხაპასხუპით გაუსვამს და ადგილ-ადგილ შეუმაღლებს ხმას შეტევითერთს-კი გაიგონებთ: „უფალოვო" რომ წამოიძახებს გაჯავრებული და შემდეგ გესმით მხოლოდ: ფალო, ფალო, ფალო, ფალო. სად არის კაცი და პატრონი უთხრას: „ფალო-კი არა, უფალო, უფალი, დაგიდგეს შე მსუნაგო, თვალი. წაიკითხე როგორც წესი და რიგია, გაგვაგებინე რას გვწერს, რას გვასწავლის უფალი, სულ ბოზბაშისა და ღორის ლურთები ნუ გაგონდებაო!" აბა, რა სასოება უნდა აღუძრას ამან იქ, რომ გასათხოვარი ქალები სდგანან და ბიჭებისაკენ თვალი მიურბით..

დიდ-მარხვისთვის და ლოცვა-წირვისათვის ღმერთმა დალოცოს ისევ მოხუცებულნი, რომელთაც პირი სამარისაკენ უქნიათ, ენებანი დაჰხშობიათ და ეხლა სულის მოგებაზე დამდგარან, რათა შეინანონ ყოველნი ცოდვანი თვისნი ნებსითნი და უნებლიეთნი და წარსდგენ პირნათლად სამსჯავროსა მას ღვთისასა. ისინი თუ გამოისყიდიან დიაკვნისა და ახალგაზდების ცოდვათა, თორომ სხვა არავინ...

დაიწყება ალსარების თქმა და მუნაგი დიაკვანი ჩუმ-ჩუმად ყურს ადებს საყდრის კარებს, გაიგონოს, შეიტყოს რამ საჭორა-კუდაოვოო...

კიდევ ბიდიშს ვითხოვ მარხვასთან და თქვენთანაც, მარხულნო, მაგრამ რომ მარხვის საკადრისი არ არის ტყუილის საუბარი, ამიტომ მეც სიმართლეს მოგახსენებთ. მაშასადამე, სიმართლისათვის ნურას უკაცრავად!

კუჭის მარხულობა რაც არის, არის, ღმერთს გაუჩენია, თუ წმინდანთა დაუდგენიათ. ჩვენის სჯულის გვერდად, უნდა ავასრულოთ, მაგრამ თუ ვინმე გონების მარხულობასაც შემოიღებდა, ის-კი, სწორედ მოგახსენოთ, ჩასაქოლავი იქნებოდა და ყოველი ქრისტიანი მოვალეც გახდებოდა, პირველად იმას ესროლა თავში ლოდი იმ ახირებულის კაცისათვის. მაგრამ რას ვამბობ? ჩვენში ხომ გონებას უფრო ამარხულებენ, მანამ კუჭსა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ორივეთი მარხულნი ვბრძანდებით: გონებითაც, კუჭითაც. თუმცა ხანდახან მართალია, ვიძახით და ვიმღერით

ღოდეს და ხმარობდეს თავის ქონებრივ სიმდიდრეს, როგორც შეჰფერის თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას. თუ პატრონი ასე არ იქცევა, იმ შემთხვევაში სიმდიდრე, რაც უნდა უთვალავი და დიდძალი იყოს, მაინც დიდი დღე არ ექნება: დღეს არა ხვალ გაიფლანგება და პატრონი ხელ-ცარიელი დარჩება. საზოგადოდ ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი სიმდიდრით უხვად არის დაჯილდოვებული. თუ სწავლა-მეცნიერებითა და ფულით ვერ დაიქადებს ჩვენი ქვეყანა, ბუნებითი სიმდიდრით დაქადება და თავის გამოჩენა ხომ სამართლიანად შეუძლია. მაგრამ ამ შემთხვევაში ძნელი ის არის, რომ იმ სიმდიდრესაც, რომელიც ბუნებას ჩვენის ქვეყნისათვის მის შვილთა ხელ-გაუნძრეველად მოუნიჭებია, უმეტესი ნაწილი ჩვენგანისა ვერ მოვჰპატრონებივართ, ვერ მოგვივლია და გვისარგებლნია ისე, როგორც რიგია. როგორც სხვაგან ჩვენს ქვეყანაში, ისე ლეჩხუმის მაზრაშიაც ბუნებრივს სიმდიდრეთა შორის უპირველესი ალაგი ეჭირა ვრცელსა და ყოველ გვარის მცენარით სავსესა და მდიდარს მთა-ტყეებს. თითქმის ერთი მესამედი ჩვენის მაზრისა ყოველ გვარ მასალად გამოსადეგის მერქნის ხე ტყეთი იყო დაფარული. ჩვენ რომ ამ მზა-მზარეულის სიმდიდრის გონივრულად მოვლის და მოხმარების უნარი მაინც დაგვყოლოდა, შესაძლო იყო მარტო ამასაც თვალ-საჩინოდ წაეწია წინ ჩვენის მაზრის ეგრე უკან დახეული და მისუსტებული ნივთიერი მდგომარეობა. მაგრამ არა... ეს ბუნებრივი სიმდიდრეც ლამის ისე გაგვიქრეს, და გამოგვეცალოს ხელიდამ, რასაკვირველია, ჩვენისავე დაუდევრობისა და წინდაუხედველობის გამო, რომ ვერას სულის მოსათბობს და სულის მოსაბრუნებელს ვერ გამოვრჩეთ. ჩვენის მაზრის დიდი და მდიდარი მთა-ტყეები ისე შემცირდა და გაღარიბდა ათი-თხუთმეტის წლის განმავლობაში, რომ ვისაც წინად უნახავს და დაჰკვირვებია ამ მხრით ჩვენს მხარეს, სწორედ გაუკვირდება ასეთი განადგურება ჩვენის მდიდარის ტყეებისა. ამას ვინღა იჩივლებს, რომ სამაგიერო სარგებლობას მაინც ხედავდეს კაცი. სამწუხაროც ეს არის, რომ მაგიერი არა გვრჩება-რა ანგარიშში შესატანი. ჩვენში უმთავრესი მთა-ტყე რომელიმე თავადთა გვარის კუთვნილებაა. სამწუხაროდ არც ერთს მამულის მეპატრონეს არა აქვს მამულის მოვლის საქმე ისეთს წესსა და რიგზე დაყენებული, რომ მამული არ გაუჩანაგდეს და სარგებლობითაც დაზოგვითა და ხელმოჭერით ისარგებლოს. თითოეული მონაწილე იმას ზრუნვაშია, რომ საგვარეულო მამულს თავის მომმზედ მეტი გამოსწოვოს. ამ აზრით შეჰყავთ მთებში, რასაკვირველია, ძლიერ იაფად ადგილობრივი ხალხი და ანადგურებენ იქაურობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ნაირად შესული ხალხი მეტად უწყალოდ ჰკიდებს ხე-ტყეს. ხუთი ხე რომ უნდოდეს გლეხს, ათი ხე მაინც უნდა წააქციოს. ნახევარი, რასაკვირველია, იქვე ადგილობრივ ლპება და ფუჭდება. არც ერთი მემამულე არა ჰფიქრობს, რომ საჭიროზე მეტი ხის მოჭრა აღკრძალონ. გარდა ამისა ჩვენის ტყეების განადგურებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ გულ-მოდგინეთ შეუდგნენ ტყეების გაკაფვასა და გადაწვას საყანედ. გამოცდილება-კი გვეუბნება, რომ ამ მხრითაც დიდად ვსცდებით: მთის მიწა დიდხანს არ გამოდგება საყანედ, ჩქარა ჰკარგავს სინოყიერეს და სრულიად უვარგისი ხდება. ამიტომ მეტი გზა აღარ არის, თავი უნდა დაანებონ. იქ აღარც ტყე მოდის და აღარც ნამუშევარი. ამ ნაირი აკაფვა ტყეებისა ისე გახშირდა, რომ სოფლის მახლობლად შეშის შოვნა გასჭირდა. გარდა ამისა მდინარეებმა ჩვენში შესამჩნევად დაიკლო, და წყაროები ხომ ბევრს ადგილას სულ დაშრა. საჭიროა, ჩვენის მაზრის მემამულეთა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება, ცოტაც არის მომჭირნედ მოეპყრან ამ ბუნებრივს განძს. წინააღმდეგს შემთხვევაში რა მოგველის, ეს უჩვენოდაც ყველასაგან ადვილი მისახვედრია.

ქაიხოსრო გელოვანი

---

## ბ-ნ კ. მესხის წერილის გამო.

დიდად მომეწონა აზრი ბ-ნ კ. მესხის წერილისა. არცა მგონია, რომ ძნელი იყოს იმ აზრის განხორციელება. ქალებს ბევრი რამ შეუძლიანთო. დიალაც შეუძლიანთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არაფერი არა გაუკეთებიათ-რა. კ. მესხთან ერთად მეც ვსთხოვ ჩვენს ქართველ ქალებს, ვსცადოთ საქმის გაკეთება. და შევუდგეთ ვსცადოთ და ღმერთი შეგვეწევა. თუ ბევრს არა, ცოტას მაინც გავაკეთებთ. თუ მართლა მილიონებს არ შევაგროვებთ წელიწადში თვითეული, ჩვენის ხელითაც, რომ ვიშრომოთ, ხუთ მანათს როგორ ვერ ვიშოვნით. სულ რომ სილამაზითაც ვეღარ მივეხიბლოთ, როგორც მესხი ამბობს, და არც არავის თავი მოვაბეზროთ ბულვარებში სირბილითა და ხვეწნითა, განა არ შეგვიძლიან ამის მაგიერ სახლშივე ვიხდეთ და ხუთის მანათის სალარალი ხელ-საქმე გავაკეთოთ ერთის წლის განმავლობაში? დიაღაც შეგვიძლიან და სრულიად შეუწუხებლადაც შეგვიძლიან. მაშ დავავალოთ, ქალებო, ჩვენს თავს, ჩვენს ხელებს, რომ წელიწადში ხუთი მანათი შევიძინოთ იმ საქმის სასარგებლოდ. რად გვინდა, რომ ხელი გაუწვდინოთ ვისმე, შეგვეწიეთ და თითო გროში მოგვაწოდეთო. შეწირულება ნება-ყოფლობის საქმეა. ვინც მოინდომოს შეწევნა, მეტადრე ჩვენს ნათესავთა და კარგ ნაცნობთ შორის, რასაკვირველია, გამოვართვათ და იმას-კი ნუ გაუწვდენთ ხელს, ვისაც თავის თავის მეტი არავინა სწამს, ვის ყინულივით ცივს გულს მოძმისა და მამულის სიყვარული არ მიჰკარებია. კერძოდ მე, თუმცა წვრილ-შვილი ადამიანი ვარ და შეზღუდული ჩემის ოჯახის მოვალეობით, მაინც ვეტვირთულობ სიამოვნებით ამ საქმეს და იმედი მაქვს, რომ მით არც ოჯახს დავაკლო რამე და კეთილი საქმეც გავაკეთო. დღეიდგან ვეხმარები ამ აზრის განხორციელებას. დარწმუნებული ვარ, ქალებო, ყველა თქვენგანიც სიამოვნებით იკისრებს თვისი წვლილი მიაწოდოს ამ დიდ საქმეს.

ვცადოთ მაინც. ცდა ხომ ბედის მონახევრეა. აიღეთ თითო ფურცელი ქაღალდი და სხვათა შორის ესეც იქონიეთ ხელში. ბევრის თხოვნით ნურავის შეაწუხებთ. ვისაც რამ ჰსურდეს და რაც შეეძლოს, მით შეეწიოს. იმ დღესვე, რა დღესაც ეგ წერილი იყო დაბეჭდილი, სტუმარი შემესწრო და სხვათა შორის იმ წერილის გამო ჩამოვარდა ლაპარაკი.—აიო,—მითხრა სტუმარმა—ჯიბეში ერთი დოვლათიანი აბაზი მაქვსო. თუ ეგ აბაზი არ დავხარჯე, ჯიბეში ფული არ გამომელევაო, მაგრამ დიდის სიამოვნებით შემიწირავს მაგ კეთილის საქმისათვისაო. გათავდა საქმე. აი ამ ერთის აბაზიდამ დავიწყე, თქვენც აიღეთ ფურცელი ქაღალდისა და სცადეთ საქვეყნო საქმის გაკეთება: იქნება მაშინ მაინც სთქვან ჩვენმა მამა-ბიძებმა, ძმებმა და ბიძაშვილებმა, რომ არც ჩვენა ვყოფილვართ მეტი ბარგი ქვეყანაზედ და ჩვენც შეგვიძლიან მცირედენის საქმის გაკეთება.

დრამატიულ საზოგადოების
თანამგრძნობელი ქალი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საკვირველად უნდა ეჩვენოს მკითხველს, რომ გერმანიაში, ამ დიდად განათლებულსა და მეთაურს სახელმწიფოში, აქამდე ქალებს ნება დართული არა აქვთ უმაღლესი სწავლა მიიღონ და იმდენად დახელოვნებულ და განსწავლულ იქმნენ, რომ თავისი საცხოვრებელი ლუკმა-პური თითონვე მოიპოვონ. საოცრად ეჩვენება, მაგრამ რას იზამთ, ასეა; ამ მხრით ვერაფრად ბედნიერნი არიან გერმანელი ქალები და ბევრსაც იბრძვიან ზემოხსენებულ უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ აქამდე ამ ბრძოლას სანუგეშო რამ ნაყოფი არა გამოუტანია-რა. გერმანელი ქალი აქამდე ნეტარებითა და შურის თვალით შესცქერის ამერიკელსა, ინგლისელსა და შვეიცარელს ქალს, რომელსაც თავისს სამშობლოში ნება აქვს დართული უნივერსიტეტში შევიდეს და უმაღლესი სწავლა მიიღოს. გერმანიის უნივერსიტეტები განსაკუთრებულს შემთხვევაში აძლევენ ქალს ნებას ლექციების მოსმენისას და ისიც მინისტრის ნება-დართვით. ქალები-კი მაინც თავისას არ იშლიან, შრომასა და ცდას არ აკლებენ, რომ ეს საქმე მოიხერხონ როგორმე. ამ შრომისა და ცდის წყალობით ქალების საქმე რეიხსტაგამდეც მიაღწია. პირველი მაგალითია, რომ რეიხსტაგს ასე დიდხანს ებაასოს და ელაპარაკოს ამ საგნის შესახებ, როგორც 27 თებერვალს ულაპარაკნია თავისს კრებაზედ, როცა გაურჩევიათ 30,000 ქალის მიერ ხელ-მოწერილი თხოვნა, რომ ქალებს ნება მიეცათ უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა და რომელსამე სამეცნიერო ღირსების მისაღებად ეგზამენის დაჭერისაო. ეს თხოვნა კომისიამ გაარჩია თურმე და დაადგინა, რომ ქალების პეტიცია უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული. საყურადღებოა ამ საგნის შესახებ ჩამოვარდნილი ლაპარაკი რეიხსტაგის წევრთა შორის, რომელიც გაზ. „Русскія Вѣдомости“-სა და „Новости“-ს ბერლინელს კორესპონდენტებს, ცოტად თუ ბევრად, ვრცლადა აქვსთ აწერილი. მთელი რეიხსტაგი ორ დასად განაწილებულა: ქალების სურვილის მოწინააღმდეგე და მომხრე დასად. აი საერთოდ რა ულაპარაკნიათ მოწინააღმდეგებს, რომელთა შორის რეული დეპუტატი ერტერერიც:

დედაკაცი დედად და დიასახლისად არის მოწოდებული და მისი სასიპარეზო მოედანი—ოჯახის კერა უნდა იყოს. თუმცა უარს ვერა ვყოფთ, ბევრია მათ შორის ბუნების მიერ განსაკუთრებით დაჯილდოებული, რომელსაც მეცნიერების შესწავლა კარგად შეუძლია, მაგრამ პრაქტიკულის მოსაზრებას უნდა ვთხოვოთ ყური და არა იდეალურს. ქალებს რომ უმაღლესის განათლების მიღების ნებართვა მივეცით, ეს ნება-რთვა იმას მოიტანს შემდეგში, რომ გიმნაზიები და უნივერსიტეტები ავსებით აივსება ქალებით და დიდ-ძალი განათლებული ქალი გვეყოლება, უსაქმო, ულუკმა-პურო რადგან სამუშაოს ვერას მოსძებნიან. ქალებს რომ სამკურნალო მეცნიერების შესწავლის ნება მივცეთ, ექიმები დიდად გამრავლდებიან და კონკურენცია უფრო გაძნელდება, უფრო გამწვავდება. ამას გარდა, მოსწავლე ქალებისა და კაცების ერთად უნივერსიტეტში თავ-მოყრა ზნეობრივად ცუდს გავლენას იქონიებს და კაცებსაც გულს აუცრუებს სწავლაზედაო.

ამის შესახებვე სხვათა შორის ერტერერს მიუმართავს დაცინვით მემარცხენეთათვის და უკითხავს:

გინდათ, რომ ქალებს საზოგადოდ ისეთივე უფლებანი ჰქონდეთ მინიჭებული, როგორც კაცებსა აქვთ? მაშინ ისინი, მარტო ექიმობას-კი არა, სხვა გვარს ხელობასაც მოჰკიდებენ ხელს. გინდათ, რომ მოსამართლე ქალი გვყავდეთ, ექიმი-ქალი, ადმინისტრაციის მოხელე-ქალი? თუ მიპასუხებთ რომ არაო, მაშინ გკითხავთ: მაშ რად გინდათ, რომ უსარგებლოდ გაამრავლოთ ნასწავლი, მაგრამ კუჭ-მშიერი ქალები?

ქალების სურვილის მომხრეთა შორის ჯერ თავისუფალ მოაზრეთა წარმომადგენელმა შრედერმა სთქვა სხვათა შორის:

ამბობენ, რომ ქალებისა და კაცების ერთად ყოფნა უნივერსიტეტებში ცუდს გავლენას იქონიებს ზნეობის მხრითაო. კარგი, მაგრამ ნუ თუ გერმანიის სტუდენტები იმდენად ზრდილნი და მართებულნი არ არიან, რამდენადაც შვეიცარიისა და ინგლისის სტუდენტები? მე პირ-იქით, უფრო იმ აზრისა ვარ, რომ ქალთან ერთად შრომით სტუდენტი უფრო გაფაქიზდება, გაკეთილ-შობილდება და ისე თავ-გასავლებით აღარ აჰყვება უზნეო ლოთობასა და დუელებს.

ერტერერს დეპუტატმა გერმანიკმა პასუხად უთხრა თურმე:

აშკარაა, კლერიკალები ქალების გა-

---

„სანამ ცოცხალ ვარ, ესე ვიქ,
ვახარებ ჩემსა იასა,
მოვკვდები—გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა“-ო.

მაგრამ მაინც და მაინც მარხულნი ვართ კუჭითა და გონებით. ვინ ვის უნდა სდრუზოს თავში ლოდი, ვინ ვინ დასაჯოს, ვისი ჯავრი ამოიყაროს, ეხლა თქვენ გაასამართლეთ?! საით გაიხედავთ, ვისა ჰნახავთ, რომ გონებით არა მარხულობდეს?! უმრავლესს ნაწილს ჩვენის ერისას შემოუვლია უმეცრების გალავანი გარშემო და აღარ უნდა იმ გალავანს იქით გადაიხედოს. მცირეს ნაწილს, რომელსაც ერთს დროს უსწავლია რამ, დღეს გონების მარხულობას მისცემია. გლეხკაცობა უფრთხის სკოლას, სწავლას, იმიტომ, რომ მისი გემო არ იცის; გაიგო, ვინც იმის წრიდამ გამოსულმა ისწავლა რამ, ხალხს არ გამოადგა, არაფერი არგო, წავიდა ისიც, გაიძღო კუჭი და დაიწყო, მიჰყო ხელი გონებით მარხულობას. კეთილ-შობილთ ისტორიულად მოპოვებული ძალა, რა დაჰკარგეს, სხვაგან მოძებნეს ეს ძალა, რომ კიდევ რამე მნიშვნელობა ჰქონოდათ ხალხში და თვითონ სწავლასაც, რომელმაც ვითომ ჩამოჰყარა უფლება, მრუდე თვალით შეხედეს, ამიტომაც ექვიანის თვალით უცქერიან ჟურნალ-გაზეთებს და ხელში ასაღებად ეჯავრებათ: მაგეების კითხვა ყარტა-ყურტა ხალხის საქმეაო...

გონების მარხულობას სულის მარხულობაც მოსდევს რასაკვირველია. სული დარჩენილია ობლად, უპატრონოდ, აღარაფერი არ აფრთოვანებს იგი; დალპობას აპირობს, ურწმუნო ხდება, უსაგნო, უხეირო, უკეთური, უგერგილო.

სული ტიროდა ბედ კრული
ნახარს გონებაზედა:
„ერთხელ როგორ არ იფიქრებ
მაგ შენსა მონებაზედა.
თავი დასჩაგრე, მეც მჩაგრავ,
მიმეც ლპობსა და მყრალსა;
წამწყმიდე, გადამისროლე
ბნელს ჯოჯოხეთის ყურესა!“
ძნელია როცა ორივეს
პატრონი არა ჰყურებსა!

—

სული და გონება მარხულობს მეთქი და ერთი რამ არა მარხულობს. ამიცან და რა არი?—ჩვენსა რო ქანდარაა—ის არი სწორედ. დაილოცე ქანდარავ! შენ ენა გქვიან, ერთი შენ არა ჰმარხულობ ზოგ-ზოგის პირში, თორემ ზოგის პირში ხომ სამუდამოდ დაუწყევიხარ სამარხულოდ ღმერთსა გამჩენსა მარხვისა და ხსნილისას,—დაუწყევიხარ, როგორც ტანტალი მშიერი და მწყურვალი შუა ზღვაში. შენს თავზედაც, როგორც იმ ღმერთთაგან შეჩვენებულის თავზედ, ჰკიდია პური და ღვინო, ყურძნის მტევნები, ეწვდები საჭმელად და მაგრობის ხელიდამ მაღლა; დაბლა წყალს ეწვდები სასმელად და ფეხებიდამ მიგირბის ისიც, გიფრთხება არ გემშვენება. ვინა ხარ შენა და რა გქვიან სახელი?—ბეჩავის კაცის ენა. აი რას იმღერის ეს ბეჩავი ენა:

სადაც მე გსცხოვრობ, წყალი სდგას,
მტკივა, მემსჭვალვის გვერდები.
ესე სუსტი და უძლური
სუსტს პატრონს შევაბერდები.
ბევრი რამა მაქვს სათქმელი,
მაგრამ ვმდუმარებ ისევა,
ძლიერ აშინებს ყანასა
კალიის გუნდის მოსვლა.
ძნელია, როცა ქვეყნისა
გონება გადაირევა!..
ჩემს პატრონს თავში ტვინი აქვს,
როგორც ლოდი და კაჟია,
ვინც იმას გასტეხს, ის არის,
აბა ის არის კაჟია,“
თუმცა-კი ვერ გადაურჩება,
რომ არ გარდახვდეს ბაჟია...
უბიროს, ბეჩავის ენა
გასამტყუნარი რაშია?!.

ღმერთმა დასწყევლოს ზოგის ენა, რომელიც არა მარხულობს და მოჰყვება ქვეყანაზე ტიკტიკს, ჰფქვავს, რაც ძალი და ღონე აქვს, მაგრამ ნუ გგონიათ რომ პურსა ჰფქვავდეს. არა. ვინ მოსთვლის რას არა ჰფქვავს! აღარც მარხვისა სცხვენიან და აღარც კაცისა: მთას მთას მიაჯახებს და ზღვას—ზღვასა, დედა-მიწას—ცასა. ტყუილად არ არის ნათქვამი: სანამ ხმალი მოვიდოდა ენამ თავი მოსჭრაო. ამისთანა, ენას ბევრი ენება შეუძლიან, მაგრამ სარგებლობას ნუ

ნათლების წინააღმდეგ უნდა იყვნენ, რადგან იმათი საკუთარი სარგებლობა მოითხოვს ამას: რაკი ქალი გაუნათლებელი და ხეპრე იქნება, ისინი ადვილად გამოიყენებენ თავის იარაღად. ამბობენ, კდემა მოსილს დედაკაცს არ შეჰფერის ანატომიაში ხათათურის ხელებიო. ერთი მიპასუხონ ამის მთქმელმა ბატონებმა, რა უფრო საზიზღარი და ქალისთვის სათანადოა: როცა იგი გრძელის კაბით ცხენს მიაჭენებს კაცებს შორის, თუ როცა ავად-მყოფის თავთანა სდგას და სნეულს ჰპატრონობს, სნეულს უვლის?..

განსაკუთრებით კარგად ულაპარაკნია ბებელს. აი რა უთქვამს ამ საუკეთესო წევრთაგანს აწინდელის რეიხსტაგისას:

არ გინდათ დაინახოთ, რომ აქ პირი აქვს დაღრენილი ფრიად შესანიშნავს სოციალურს საკითხს და მისი გვერდით ახვევა შეუძლებელია? უკანასკნელმა მკვიდრთა აღწერამ დაგვანახვა, რომ ერთის მილიონით მეტია ქალი, ვიდრე კაცი. რა უნდა ჰქმნან, რაკი არ შეუძლიანთ თავისი ბუნებრივი მოვალეობა შეასრულონ და მეუღლეობა და დედობა გასწიონ? ესეც არ იყოს, იქნება ყველას არ უნდა გათხოვდეს. თუ მამაკაცების ავკარგიანობა იმ კაცების კვალობაზედ ვიანგარიშოთ, რომელნიც აქ ჰბჭობენ და ბაასობენ, ვინ იცის, იქნება კარგადაც ჰშვრებოდნენ, თუ არა თხოვდებიან. როცა ამბობენ, რომ კდემამოსილ ქალებს არ შეჰფერით ანატომიაში ხელის ფათურიო, ყოველთვის მაგონდებიან ათასობით დანი მოწყალებისანი. რატომ იმათ შესახებ-კი არ ამბობენ ამას? რაც შეეხება იმას, ვითომ ქალების და კაცების ერთად სწავლა ზნეობრივად ცუდს გავლენას იქონიებსო, ამის გამო უნდა ვსთქვა, რომ, მაგალითად, შეერთებულს შტატებში 18,000 ქალი სწავლობს კაცებთან ერთან გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში და რა ცუდი გავლენა იქონია განა ამ გარემოებამ. ვერავინა ჰყოფს უარს, რომ ქალებს უმაღლესის განათლების უნარი არა ჰქონდეთ. ამის მაგალითად დავასახელებ თუნდა ამას წინად გარდაცვლილს სოფიო კოვალევსკისას, რომელმაც დიდი სახელი გაითქვა მთელს ქვეყანაში, ვითარცა მათემატიკის პროფესორმა. ნამინისტრალს ჰესლერს მიჰბაძეთ. ეს კაცი დიდი წინააღმდეგი იყო ქალების განათლებისა, მაგრამ ამასთანავე დიდს პატივს-კი სცემდა სოფიო კოვალევსკის ქალს და ყოველთვის ჰპატიჟობდა თავისთან ამ ღირსეულს ქალს, რომელსაც პარიჟის აკადემიამ თავისი პრემია მიუსაჯა. ნუ დაივიწყებთ აგრეთვე, რომ ამერიკაში 3,000 ექიმი-ქალია. დედოფალთა იტალიისასა და რუმინიისას თავის ლეიბ-ექიმებად ქალები ჰყავთ. შვეიცარიასა და ინგლისში ქალებისათვის უნივერსიტეტის კარი ღიაა და პროფესორები დიდად კმაყოფილნიც არიან.

ბოლოს რიკკერტმა სთქვა თურმე, რომ დარწმუნებული ვარ, ჩვენს თხოვნას არ მეიწუნარებს უმრავლესობა რეიხსტაგისა, მაგრამ დადგება ისეთი დრო, როცა ეს უმრავლესობა უმცირესობად გადაიქცევაო. ამ რიკკერტის წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი უკვე ასრულდა. რეიხსტაგმა უყურადღებოდ დასტოვა ქალების სამართლიანი თხოვნა, მაგრამ მეორე ნაწილიც ასევე ახდება, თუ არა, ამას მერმისი გამოაჩენს...

## რუსეთი

13 მარტს მოხუცმა პროფესორმა სტებუტმა მოსკოვში ლექცია წაიკითხა. ლექციის მსმენელად დიდძალი ხალხი შეიკრიბა, ასე რომ, უადგილობის გამო ბევრი სახლში დაბრუნდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც პატივცემული პროფესორი მეტად საყურადღებო საგანს არკვევდა თავის ლექციაში. „ესაჭიროება თუ არა რუსის ინტელიგენტ ქალს სამეურნეო განათლება და თუ ესაჭიროება სახელდობრ რომელი?" აი რა საგნის გამო ილაპარაკა ლექტორმა. რუსის ქალმა ყოველ გვარი ცოდნისა და მეცნიერების შესწავლას მოჰკიდა ხელიო, ყველაფერში გაიმარჯვა, ყველაფერში გამოიჩინა თავი, მაგრამ სამეურნეო სწავლა-განათლებამ იმისი ყურადღება აქამდის ვერ მიიქცია მაშინ, როდესაც ამ მხრით დიდი და ვრცელი ასპარეზი აქვს რუსის ქალს დათმობილი. აქ ბევრს საქმეს იშოვნიდა ქალი და სხვა საქმის ამაოდ ძებნა აღარ დასჭირდებოდა, როგორც ეხლა არისო". ამას შემდეგ ლექტორმა აუსხა რუსეთის მეურნეობის ყოველ გვარი ნაკლი და შეუდგა იმის უნუგეშო მდგომარეობის მიზეზის გამორკვევას. ცხადად დახატა სოფლის კაცის გაჭირვებული მდგომარეობა, უმიწობისა, უფულობისა, მუშათ ხელის უყოლობისა და განსაკუთრებით უცოდინარობის გამო წარმომდგარი. ყოველივე ეს მიზეზია იმისი, რომ ყოველის მხრიდამ, ყოველის კუთხიდამ სიღარიბესა და გაჭირვებას შემოგვჩივიან და შემოგვტირიან. რა უნდა ეწამლოს ამ სატკივარს? ზოგიერთები ამის წამლად მოკლე ვადიანის სესხის დაარსებას ასახელებენ. სესხი, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ გაუნათლებელის კაცის ხელში ის სარგებლობის ნაცვლად ზარალს მოგვიტანს. ახალის სესხის დაარსება ისე უნაყოფოდ და უსარგებლოდ ჩაივლის, როგორც გლეხთა ადგილ-მამულის შესყიდვაში მებატონეთა მიერ მიღებულმა ფულმა ჩაიარა, ისე კვალდაუმჩნეველად გაქრება, როგორც საადგილ-მამულო ბანკებისაგან. სესხად აღებული ფულები გაქრა და სხვ. უებარი წამალი ამ უბედურებისა სესხის დაარსება-კი არ არის, არამედ სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელებაა მდაბიო ხალხში.

რაკი ეს საგანი საფუძვლიანად გამოარკვია ლექტორმა, გადავიდა იმაზე, თუ რა შეუძლია განათლებულს ქალს სამეურნეო საქმის წარმოებაში. ისე რთული და ძნელი საქმე თითქმის არც ერთი საქმე არ არის, როგორც სამეურნეო საქმის წესიერად წაყვანა და რიგიანს ფეხზედ დაყენება. არც ერთს სხვა საქმეში იმდენად საჭირო არ არის ფიზიკურად და ზნეობრივად შეერთება ძალ-ღონისა, როგორც სამეურნეო საქმეში. ამის გამოც არის, რომ ზოგიერთი საქმე მეურნეობისა ახლაც სრულიად დედაკაცის ხელშია. მაგალითად, შინაურ ფრინველთა მოშენება და რძის მოხმარა და გამოყენება და სხვ. ამაზედ თამამად შეგვეძლო მიგვემატებია მებაღეობა და ანგარიშის დაჭერა. მაგრამ მარტო ამათი რიგიანად შესწავლაც არ დააკმაყოფილებს ქალის სამეურნეო სწავლა-განათლების საქმეს. გლეხის მეურნეობა ყოველგან მჭიდროდ არის დაკავშირებული კერძო მემამულის მეურნეობასთან. მემამულეს ჯან მრთელი და პატიოსანი მუშა ესაჭიროება, პატიოსანს მოიჯარადრესა და კარგს მეზობელთან უნდა საქმის დაჭერა. თავის მხრითაც ის კარგს მაგალითს აჩვენებს გლეხებს, რჩევა-დარიგებას მისცემს, ხელ-მძღვანელობასა და შეამდგომლობას გაუწევს, როცა სამუშაოს შოვნა მოუხდებათ, ან ნაწარმოების გაყიდვა დასჭირდებათ. რაკი ასე შეერთებულის ძალ-ღონით წავა გლეხისა და მემამულის მეურნეობის საქმე, განათლებულ ქალსაც ვრცელი ასპარეზი დაურჩება თავის უნარისა და ცოდნის გამოსაჩენად. მხოლოდ სამეურნეო სწავლა ცოდნით აღჭურვილს ქალს შეუძლია გაუწიოს ოჯახს დედობა და ქმარს მეუღლეობა. მხოლოდ ასეთს დედაკაცს შეუძლია გაზარდოს ისეთი შვილები, რომელთაც თავიანთი მიწა-წყალი და თავიანთი სოფელი ეყვარებათ. ასეთის დედაკაცის ყოფნა შეძლებულს ოჯახებშიაც დიდად სასარგებლო და სასურველი იქნება. რასაკვირველია, ის ოჯახი, რომელსაც საქმისა და შრომის სურვილი ასულდგმულებს, არ წავა ქალაქში და არ გაფლანგავს თავის შეძლებას და არ დაასნეულებს თავის შვილების ჯანსა და ზნეობას. იმის შესახებ, თუ რა გვარი სკოლები უფრო საჭიროა ქალებისათვის სამეურნეო განათლების მოსაღებად, ლექტორმა სთქვა, რომ ამ შემთხვევაში დაბალი სკოლებიც დიდად სასარგებლოა, მაგრამ საუკეთესო ნაყოფს მაღალი სასწავლებლის დაარსება მოიტანსო, პირველი ნაბიჯი ამ საქმეში რომელიმე საქველ-მოქმედო საზოგადოებამ უნდა გადასდგას. სასურველია, რომ ცალკე საზოგადოება შესდგეს, რომელმაც საგნად გაიხადოს დედათა მზრუნველობა და ხელის შეწყობა სამეურნეო განათლების საქმეში. შემდეგ ამ კეთილს საქმეს, უეჭველია, მთავრობაც დაეხმარება, რომელიც ასე ძალიან სცდილობს მეურნეობის აღყვავებასა და გავრცელებასო,—სთქვა დასასრულ ლექტორმა.

— ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება გამოჩენილი მოგზაური საფრანგეთისა ბლანი, რომელმაც სამეცნიერო აზრით მიმოვლო კავკასია, საშუალო აზია და რამდენიმე ნაწილი ჩინეთისა. ბლანს დიდი და მეტად შესანიშნავი ეტნოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექცია აქვს თან.

— „Новости" ამბობს, რომ რუსეთის ენტომოლოგიურს საზოგადოებას განზრახვა აქვს წელს ორი ექსპედიცია შეადგინოს. ერთი გაიგზავნება ამიერს მხარეს და მეორე კავკასიაში.

15 მარტს მოსკოვში გარდაიცვალა პოეტი პავლე ალექსის ძე კოზლოვი. განსვენებულმა სახელი მოიხვეჭა „მანფრედისა" და „დონ ჟუანის" თარგმნით. ამ ბოლოს დროს „ჩაილდ-ჰარლოდის" თარგმანი „Русская Мысль"-ში იბეჭდებოდა, მაგრამ ძლიერმა ავადმყოფობამ და შეუბრალებელმა სიკვდილმა აღარ დაამთავრებინა ეს შრომა განსვენებულს.

## წვრილი ამბები

ახირებული განცხადება. ერთის იტალიური გაზეთის განცხადებათა განყოფილებაში ყოველ დღე იბეჭდება შემდეგი: „ვინც ცეცხლის გაჩენისა და წყალდიდობის ამბავს მოგვიტანს, განსაკუთრებით ისეთს ამბავს, როცა ადამიანი ამა თუ იმ უბედურების მსხვერპლი გამხდარა, მიიღებს ერთს ლირასა და 50 ჩენტეზიმს. ვინც ისეთს ამბავს მოგვაწოდებს, სადაც თავის მოკვლა ჩაუდენიათ, მიეცემათ ერთი ლირი, სადაც თავის მოკვლა განუზრახავთ და ვერ შეუსრულებიათ—50 ჩენტეზიმი. დაჭრისა და სხვა უბედურ შემთხვევის მოამბეს გაძლევთ 30 ჩენტეზიმს. კაცის კვლისა, გაძარცვისა და სხვა დიდის ავაზაკობის ამბისათვის საჭიროა ჩვენთან მოლაპარაკება, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ასეთის ამბისათვის ხუთს ლირზე ნაკლებს არ მივცემთ".

მეისონიეს ძეგლის ასაგებად არჩეულმა კომიტეტმა პროექტის შედგენა ცნობილს მოქანდაკეს მერსიეს მიანდო. ამ დღეებში მერსიემ თავისი მინდობილება შეასრულა და კომიტეტს ორი სხვა-და-სხვა ნაირი პროექტი წარუდგინა. ერთში მეისონიე სავარძელში მჯდომარედ არის გამოსახული მდუმარისა და დაფიქრებულის სახით და თავი მარჯვენა ხელზე უბჯენია. ეს პროექტი მეტის-მეტად მოეწონა კომიტეტს. მეორე პროექტში, რომელსაც თვითონ მოქანდაკე ამჯობინებს პირველს, გამოჩენილი მხატვარი საფრანგეთისა ისეა გამოხატული, თითქოს ჯარის-კაცნი ხელში აყვანით ატარებდნენ და ამით მადლობასა და პატივისცემას უცხადებდნენ მეისონიეს, რომლის ნიჭმა ისინი ადიდა და ასახელა. შარლ ჰარნიეს წინადადებით კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ პროექტის არჩევა მოქანდაკეს მიანდოს.

ოსმალეთის სულთანმა, დიდის ამბით მიიღო ამას წინად გერმანიის ელჩი ფონ-რადოვიცი, რომელმაც გადასცა მის უდიდებულესობას იმპერატორის მიერ გაგზავნილი სხვა-და-სხვა საჩუქარი და, სხვათა შორის, ორი მდიდრულად დაკაზმული წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით აღწერილია იმპერატორის მოგზაურობა,

გლადსტონმა ამ ს.ნად იტონში, სადაც ამ 70 წლის წინად სწავლობდა, ამ სასწავლებლის მოწაფეთ ჰომერისა და არტემიდის შესახებ ლექცია წაუკითხა.

---

რაფერს მოელით,—ბევრს ამბობს, იმდენს, იმდენს, რომ თავის თავს მოჰბეზრდება და ქვეყანას ხომ თავს აბეზრებს, რა თქმა უნდა. აი ამისთანა ენაა დასატუსაღებელი და სათოკსაბორკილე, მაგრამ სად არის, ვინ არის კაცი და პატრონი?! თუ სადმე სამართალია, მარხვა, მარხულობა იმისთანა ენისათვის უნდა დაწესდეს და დაწესდეს ისე, რომ მუდამ კრიჭაში ედგეს და რამდენჯერაც გაინძრევა სისულელის, სიავის წამოსაროშად, იმდენი ნესტარი დაჰკრას, ან ნაკვერჩხალი დაადოს, რომ სდუმდეს და არა სწამლავდეს კაცთა გულსა და გონებას...

შენ გეუბნები ამასა,
ენავ, ბილწო და მრუდეო,
რა ქმმაკადა და ქაჯადა
ჩვენს შორის დაიბუდეო?!
მიკვირს, რად არ გწყინს სიავე,
არ გეწყრება მწარეო?
ნეტავი დამიხსნეინა
შენგან ეს ჩემი მხარეო.
შენის ძალითა ბნელში მყოფთ
ბევრჯელ ვიწუნეთ მთვარეო,
ეხლა-კი დროა მოგშორდე,
გასწი, შორს გაიარეო!

—

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ამ შხამიანს ენას კრიჭაში არ ედგას მართალი და მადლიანი ენა; იგი წაჰლეკავდა მთელს ქვეყანას. მაგრამ მადლიანი ენა თითს უქნევს: ჰა, ციც, დაუკრეფავში ნუ შესდიხარო!

დიაღ, ცოტასაც არის ეს მართალი და პატიოსანი ენა ამარხულებს იმას და აფთხილებს.

ენა დალოცოს ზოგისა
მართალს სთესს, მართლის მხვნელია,
რაც-კი რამ კაცსა ერგება,
სულ მუდამ იმის მთქმელია.
კაცს არ გაუთხრის ორმოსა,
პირს არ გაუყოფს სოფელსა,
არ აპატიებს საქციელს
თავის სამშობლოს მგმობელსა.
ამისთვის უყვართ ჭკვიანთა,
უდღეგრძელებენ მშობელსა.

—

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ თურმე, როცა ენა ხმასაც ატკბილებს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ე. ი. ისე, როგორც ერთმა ჩვენმა მწერალმა სთქვა, ხმას „აფაფუკებს", მაშინ თურმე ენების მოტანაც შეუძლიან. როგორ, თუ იცით? აი როგორ. კარგად მოგეხსენებათ ამას წინანდელი ნიკიტას კონცერტი და მისი მიღება საზოგადოების მხრით. უნდა-კი მაპატიოთ თქვენც, მკითხველნო, და გამოჩენილმა არტისტმა ქალმაც, მაგრამ ამ შემთხვევის და სახელების მსგავსების გამო ერთი რუსული არაკი მაგონდება. არ ვიცი, გაგიგონიათ თუ არა „ნიკიტა კოჟემიაკას" ამბავი. „კოჟემიაკა", პირდაპირ რომ გადავთარგმნოთ, ტყავის მზელელს ჰნიშნავს და ჩვენებურად-კი დაბაღს. ეს ნიკიტა ძალოვანი ვინმე ყოფილა, ღონიერის მკლავის პატრონი: ხელით კამეჩის ტყავსა ჰზელდა ისე, თითქოს ხახვის ფურცელიაო. ჩვენის დროის ნიკიტა არა ტყავის, არამედ ნერვების მზელელია, როგორც არტისტი და უნდა გამოტეხითა ვსთქვა ისე დაუზელია ჩვენის საზოგადოების გულის და გონების ძარღვები, რომ სრულიად გაუბურნუთებია. არც ესეთი მეტის მეტად გამომეტყველება, ძლიერის ზედ მოქმედების დაჩნევაა მსმენელთა ყურსა და გულზე კარგი, რომ კაცი სრულიად გააბითილოს, გაამტვეროს და ესტეტიური გრძნობის მაგივრად... მოდი ნულარას ვიტყვით. ცოტა შებრალება იქონიეთ არტისტებო! თვითონაც გრძნობით იმარხეთ და საზოგადოების სმენაც ამარხულეთ, თუ გწამსთ უფალი! მაინც და მაინც ტკბილი ენა, ტკბილი ხმასთან შეერთებული, საშიშარი ყოფილა...

ფრთხილად!

ვაჟა-ფშაველა

ლექციამ დიდად ასიამოვნა ახალგაზრდა მსმენელნი და დიდი გავლენა იქონია მათზე.

## წერილი რედაქციის მიმართ

(პასუხად ჭორიკანებს)

ორიოდ-სამიოდე მოცლილებმა ჩვენზე გამოილაშქრა ჭორიკანობის იარაღით. ბულვარ-რესტორან-ყავახანები ხომ მაგათი სამუდამო ბუდეა, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს კადნიერებამ ჭორიკანობისამ შედგა უწმინდური ფეხი თვით მწერლობაში და უსირცხვილოდ დაგვწამა, ვითომ ჩვენ გამოგვეთქვას აზრი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის სხვაგან გადატანის შესახებ. ჩვენ არა გვქონია ჩვეულებად დაუსაბუთებელს უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას ყური ვათხოვოთ და ამის გამო ზემოხსენებულთა პაექრობაც უპასუხოდ დავაგდეთ. მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ ჩვენდა, ჭორიკანობის თავ-წასულობა ეხლა იმ სიმაღლემდე აღწეულა, რომ ადგილობრივი სამღვდელოებაც-კი ეჭვში შეუყვანია და შეურყევია... გვიკვირს, რად გაამარჯვებინეს უსაბუთობას იქ, სადაც ხელში აქვთ ჩვენგან მოხსენებულის ანგარიშის პირი, რომელიც დიდი ხანია გაეგზავნა სასულიერო სასწავლებელს. ყველას შეუძლია იმ ანგარიშში ამოიკითხოს ჩვენგან მთავრობისადმი მოხსენებული ვრცელი აზრი იმაზე, თუ როგორ უფრო მკვიდრად და მართებულად მოეწყოს ოზურგეთშივე ის სასწავლებელი, რომელიც თითქმის შეუწყვეტლად მიმდინარეობს იაკობ შემოქმედელის დროიდგან და მკვიდრს საფუძველზე დამყარებულია თავ. გრიგოლ გურიელის შემწეობით, გურია სამღვდელოების შესანიშნავის მხნეობით და სასწავლებლის მთავრობისა და მასწავლებელთა მეცადინეობით. იჭვნეულთა ეთხოვა პირდაპირ ჩვენს ანგარიშს მიჰმართონ და ცილისწამება აგვხადონ.— ამასთანავე, რადგან ჩვენზე სხვა ჭორებიც გაუვრცელებიათ ჩვენს არა-კეთილ მოსურნეებს, საქვეყნოდ გამოგვიცხადებია, რომ ჩვენს მოქმედების ვითარებაზე იჭვნეულობაში შთავარდნილთ ნებას ვაძლევთ საქვეყნო სიტყვიერს სამსჯავროში გამოგვიწვიოს, პასუხი მოგვთხოვოს და მოგვათხოვებინოს. ვიმედოვნებთ, რომ ამ საქმეს განკითხვაში სამარცხვინო პირ-ბადე აეხადოს ჭორიკანობას და საზიზღარი მისი ნაყოფი მიეცეს დასაწველად სეინიდისის საუკუნო ცეცხლსა.

თ. ჟორდანია

## დეპეშა

20 მარტი

ბერლინი. დღეს დაიწყო აქ კრება ლოსტაქართა კონგრესმა, რომელზედაც, გერმანიის ექიმთა გარდა, დაესწრნენ რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა დელეგატები.

ფრიდრიხსრუე. თავ. ბისმარკის დაბადების დღეობის გამო აქ დიდძალი არისტოკრატია მოვიდა. მოსალოცავად არიან მოსულნი დიდ-ძალნი დეპუტაციანი და კერძო კაცნი და აგრეთვე მოსალოცავი დეპეშა და წერილიც ბევრად-ბევრია გამოგზავნილი

## პეტერბურგის ბირჟა, 19 მარტი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 | 74 | 6 | 76 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | 134¾ | | 135 | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — | „ | 1 | 06 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 237 | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 222 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | — | „ | — | „ | 216¾ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 102 | | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | 102 | | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | 99 | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილის ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად თხზულება

### ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სასახლო ჯიბის კალენდარი მისივე | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| სამძღვარი ზეცისა | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი | 1 | „ |
| ბრძმედი | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა, ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა | „ | 40 |
| მოკლე ძველი ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან ხოფლის ვიდრე დღევანდლამდე ყდით | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკური, მოქალაქებრივი და ისტორიული დამატებით ძველი გეოგრაფიისა | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკული და ლოღიკური ანალიზისა | „ | 40 |
| მოკლე რიტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით | 10 | „ |
| Книга Калилаѣ и Диманаѣ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. | „ | 25 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისა ესაა:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დაბეჭდილს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაბეჭდილთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 3 რვიდან საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 2) იგივე მშვენიერის ყდით | „ | 45 |
| 3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-ითი და ბიოგრაფიით | „ | 80 |
| 4) იგივე მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| 5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი | „ | 15 |
| 6) „სურამის ციხე“ გამოც. უესამე გრ. ჩიქოვანისა | „ | 25 |
| 7) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა | „ | 20 |
| 8) „წყალობა“ პოემა მისივე | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა | „ | 40 |
| 10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ | „ | 30 |
| 11) რამდენიმე ლექსი ცახელის | „ | 15 |
| 12) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ე. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| 13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| 14) „სარწმუნოება საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხ ხახანაშვილისა | „ | 50 |
| 15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა | „ | 60 |
| 16) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა | „ | 15 |
| 17) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა | 1 | „ |
| 18) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა | 3 | 50 |
| 19) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა | „ | 75 |
| 20) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით | „ | 80 |
| 21) იგივე უყდო | „ | 60 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით | „ | 70 |
| 23) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა | „ | 20 |
| 25) „ძველის დება“ ძეძე გიორგი ბრწყინვალისა“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 26) „იავნანამ რაჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| 27) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა | „ | 20 |
| 28) „გორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| 29) ქანნა—დარკ | „ | 5 |
| 30) ბერლინის გარემოცვა | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

*Тифлисъ.* Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“

Лорисъ-Меликовская ул. д Зубалова.